ა(ა)იპ "საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

საქართველო, ქ. თბილისი 0179, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

№_____ 27. 07. 2020 წ.

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №228-ს

ქ. თბილისი

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში საქართველოს ისტორიის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების გამოცხადების, ვაკანსიისა და ადმინისტრირების ვადების განსაზღვრის შესახებ

ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) წესდების მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის; უნივერსიტეტის „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მე-9 და მე-10 მუხლების; უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის დეკანის ლევან ჯიქიას 2020 წლის 13 ივლისის N1/1005 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს მიღება 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის *საქართველოს ისტორიის* სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე *(ვაკანტური ადგილების რაოდენობა - 5)*.

2. სწავლის წლიური საფასური საგანმანათლებლო პროგრამაზე განისაზღვროს 2250 (სემესტრული - 1125) ლარის ოდენობით;

3. დოქტორანტურაში მიღების ადმინისტრირებისთვის ვადები განისაზღვროს დანართი N1-ის შესაბამისად.

3. დადგინდეს დოქტორანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა დანართი N2-ის შესაბამისად.

4. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურს; სასწავლო პროცესის რეგულირებისა და სტუდენტთა მომსახურების სამმართველოს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის, ბიზნესის, კომპიუტინგისა და სოციალურ მეცნიერებათა სკოლების დეკანატებს; ენების ცენტრს.

5. ბრძანება განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე.

6. ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფაზე დაევალოს საზოგადოებასთან და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი, პროფესორი სერგო ვარდოსანიძე

დოქტორანტურაში მიღების პროცესის ადმინისტრირების ვადები:

1. აპლიკანტთა რეგისტრაცია (საბუთების მიღება) - 2020 წლის 25 აგვისტო - 4 სექტემბერი;
2. გამოცდა უცხო ენაში - 2020 წლის 5 სექტემბერი;
3. უცხო ენის გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2020 წლის 7 სექტემბერი;
4. გამოცდა სპეციალობაში - 2020 წლის 8 სექტემბერი;
5. სპეციალობაში გამოცდის შედეგების გამოცხადება - 2020 წლის 9 სექტემბერი;
6. ადმინისტრაციული და აკადემიური რეგისტრაცია, ხელშეკრულების გაფორმება - 2020 წლის 10 – 12 სექტემბერი;
7. ჩარიცხვის ბრძანების პროექტის მომზადება და გამოცემა- 2020 წლის 14 სექტემბერი.

დოქტორანტობის კანდიდატების მიერ რეგისტრაციისთვის წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა:

1. განცხადება რექტორის სახელზე (შემოთავაზებული ფორმით);
2. მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი, (*2020 წლის კურსდამთავრებულებისათვის დასაშვებია ცნობა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან შესაბამისი აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე*);
3. უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების შემთხვევაში - სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
4. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ **(CV);**
5. გამოქვეყნებული შრომების სია შრომების ქსეროასლებით (არსებობის შემთხვევაში);
6. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) B_2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი ვალიდური საერთაშორისო მოწმობის/სერტიფიკატის (არსებოპბის შემთხვევაში) სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (წარმოდგენის და კომისიის შესაბამისი დასკვნის შემთხვევაში, დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენაში გამოცდისგან);
7. სამოტივაციო წერილი;
8. სავარაუდო საკვლევი თემის კონცეფცია;
9. საკვალიფიკაციო პროგრამის გეგმიურ ვადაში შესრულების გეგმა;
10. პირადობის მოწმობა (პასპორტი) – ასლი;
11. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი მოწმობის (ვაჟებმა) - ასლი;
12. ორი ფოტოსურათი (3×4) ელექტრონული ვერსიითურთ CD დისკზე;
13. სტუდენტის ანკეტა (შემოთავაზებული ფორმით).